საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წესდება

მიღებული 1994 წლის 22 სექტემბერს

2020 წლის 05 დეკემბრის საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა

ასოციაციის XXVIII საერთო კრების მიერ დამტკიცებული ცვლილებებით

თბილისი

2020

მუხლი 1.ზოგადი დებულებანი

1.1. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (შემდგომში - ასოციაცია) არის არასამეწარმეო იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.

1.2. ასოციაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. ასოციაცია დაფუძნებულია 1994 წლის 9 სექტემბერს.

1.3. ასოციაცია, თავისი მიზნებიდან გამომდინარე, მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

1.4. ასოციაციის ადგილსამყოფელია საქართველო, ქ. თბილისი, ჯ. კახიძის ქ. #15.

მუხლი 2. მიზნები

2.1. ასოციაციის მიზნებია:

ა) საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და კანონის უზენაესობის დამკვიდრება; *(18.11.2018)*

ბ) სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს საკანონმდებლო ბაზის განვითარება;

გ) ადამიანის ღირსების, უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა;

დ) იურიდიული პროფესიის განვითარება, პროფესიული ეთიკის ნორმების დამკვიდრება.

მუხლი 3. საქმიანობის ფორმები

3.1. საწესდებო მიზნების მისაღწევად ასოციაცია:

ა) ეწევა საგანმანათლებლო-შემეცნებით საქმიანობას იურისტთა პროფესიული დაოსტატებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;

ბ) ეწევა სამეცნიერო, საგამომცემლო და მთარგმნელობით საქმიანობას;

გ) ხელს უწყობს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი მექანიზმების შექმნას; *(18.11.2018)*

დ) ქმნის იურიდიული დახმარების ცენტრებს და უზრუნველყოფს სასამართლო და სხვა ორგანოებში წარმომადგენლობას; *(18.11.2018)*

ე) იცავს ადამიანის უფლებებს სახელმწიფო ორგანოებთან მიმართებაში, მათ შორის სტრატეგიული სამართალწარმოების გზით;

ვ) ეწევა ადამიანის უფლებების პოპულარიზაციას და ხელს უწყობს მათ მიმართ პატივისცემის დამკვიდრებას;

ზ) ლობირებს საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებთან, აგრეთვე ევროკავშირის კანონმდებლობასთან;

თ) ხელს უწყობს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი იურიდიული და სამოქალაქო განათლების სისტემის ჩამოყალიბებას;

ი) თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის პროფესიულ გაერთიანებებთან;

კ) ეწევა სამართლებრივ და სამოქალაქო განათლების საკითხებზე საინფორმაციო-შემეცნებით საქმიანობას; *(18.11.2018)*

ლ) სამართლებრივი ექსპერტიზის, შეფასებისა და მონიტორინგის, ასევე ორგანიზაციის პოზიციების გამოხატვის გზით აქტიურად მონაწილეობს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხების განხილვაში;

მ) ეწევა არჩევნების მონიტორინგს, აგრეთვე მონაწილეობს არჩევნების საერთაშორისო მისიებში;

ნ) ქმნის ასოციაციის სტრუქტურულ ერთეულებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;

ო) ეწევა დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომელიც არ ცვლის მისი, როგორც არასამეწარმეო იურიდიული პირის ხასიათს;

პ) აგროვებს ქონებას საქველმოქმედო, სოციალური, კულტურული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი ან საზოგადოებრივად სასარგებლო სხვა საქმიანობის ხელშეწყობისათვის; *(05.12.2020)*

ჟ) გასცემს გრანტს;

რ) ეწევა სხვა საქმიანობას, რომელიც არ არის აკრძალული კანონით.

მუხლი 4. წევრად მიღება

4.1. ასოციაციის წევრი შეიძლება გახდეს 40 წლამდე ასაკის იურიდიული განათლების მქონე პირი ან სამართლის მიმართულების პროგრამის სტუდენტი, რომელიც იზიარებს ასოციაციის მიზნებს და ღირებულებებს. *(05.12.2020)*

4.2. ასოციაციის წევრობის მსურველი დადგენილი ფორმის წერილობითი განცხადებით მიმართავს ასოციაციის გამგეობას. გამგეობა წევრად მიღების საკითხს წყვეტს განცხადების შემოსვლიდან არა უგვიანეს 6 თვისა. გაწევრიანების საკითხის გადაწყვეტამდე წევრობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს ასოციაციის ორი წევრის დადგენილი ფორმის წერილობითი რეკომენდაცია.

4.3. პირი, რომელიც აქტიურად უჭერს მხარს ასოციაციის საქმიანობას, ასოციაციის გამგეობის გადაწყვეტილებით შეიძლება მიღებულ იქნეს ასოციაციის საპატიო წევრად. საპატიო წევრზე არ ვრცელდება ასოციაციის წევრისათვის ამ წესდებით დადგენილი უფლება-მოვალეობანი.

4.4. ასოციაციის დამფუძნებლები და შემდგომ გაწევრიანებული პირები თანაბარი სტატუსით სარგებლობენ.

მუხლი 4[1]. ასოციაციის წევრობის შეწყვეტა

4[1].1. ასოციაციის წევრს უფლებამოსილება უწყდება:

ა) საკუთარი განცხადების საფუძველზე;

ბ) გამგეობისათვის წინასწარი შეტყობინების გარეშე ზედიზედ სამი კალენდარული წლის საწევრო შესატანის გადაუხდელობის შემთხვევაში; *(18.11.2018)*

გ) *(ამოღებულ იქნა - 18.11.2018)*

დ) სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისას;

ე) სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი გარდაცვლილად გამოცხადებისას;

ვ) გარდაცვალებისას.

4^1 1^1. $4.^1$ 1 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლებით წევრობის შეწყვეტას ცნობად იღებს გამგეობა. *(18.11.2018)*

4^1.2. გამგეობის გადაწყვეტილებით ასოციაციის წევრი შეიძლება გაირიცხოს ასოციაციიდან, თუ მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება ასოციაციის მიზნებს ან იგი უხეშად არღვევს წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. *(18.11.2018)*

მუხლი 5. წევრთა უფლება-მოვალეობანი

5.1 ასოციაციის წევრს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობდეს ასოციაციის საერთო კრების მუშაობაში;

ბ) აირჩიოს და არჩეულ იქნეს ასოციაციის ხელმძღვანელ ორგანოებში; *(18.11.2018)*

გ) კვალიფიკაციისა და შესაძლებლობების შესაბამისად მონაწილეობდეს ასოციაციის პროგრამულ საქმიანობაში;

დ) სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობდეს გამგეობის სხდომებში;

ე) მიიღოს ინფორმაცია ასოციაციის საქმიანობის შესახებ; *(18.11.2018)*

ვ) ასოციაციის მიზნების შესაბამისად, შესაძლებლობის ფარგლებში, ისარგებლოს ასოციაციის საკუთრებაში არსებული ინფორმაციით და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით;

ზ) ატაროს ასოციაციის ემბლემა.

5.2 ასოციაციის წევრი მოვალეა:

ა) დაიცვას ასოციაციის წესდება; *(18.11.2018)*

ბ) გაუფრთხილდეს ასოციაციის საქმიან რეპუტაციას და ქონებას; *(18.11.2018)*

გ) შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისად მონაწილეობდეს ასოციაციის საქმიანობაში;

დ) პროფესიულ საქმიანობაში იხელმძღვანელოს ასოციაციის საწესდებო მიზნებითა და პროფესიული ეთიკის ნორმებით; *(18.11.2018)*

ე) გადაიხადოს საწევრო შესატანი დადგენილი წესითა და ოდენობით;

ვ) დაესწროს საერთო კრებას. *(18.11.2018)*

მუხლი 5^1. წევრის პასიური ხმის უფლების შეზღუდვა

5^1.1. ასოციაციის 40 წელს გადაცილებულ წევრზე არ ვრცელდება ამ წესდების 5.1.ბ. მუხლით გათვალისწინებული ასოციაციის ხელმძღვანელ ორგანოებში არჩევის (პასიური ხმის) უფლება. *(18.11.2018)*

5^1.2. ასოციაციის წევრის ამ წესდების 5.1.ბ. მუხლით გათვალისწინებული ასოციაციის მმართველ ორგანოებში არჩევის (პასიური ხმის) უფლება ასევე იზღუდება 8.1 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში. *(30,11,2014)*

მუხლი 6. საერთო კრება

6.1. ასოციაციის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა ასოციაციის წევრთა საერთო კრება. მორიგი საერთო კრება მოიწვევა გამგეობის მიერ და ტარდება ყოველი წლის ნოემბერ-დეკემბერში. *(18.11.2018)*

6.1[1]. რიგგარეშე საერთო კრება მოიწვევა ასოციაციის გამგეობის მიერ:

ა) საკუთარი ინიციატივით;

ბ) თავმჯდომარის ან ასოციაციის წევრთა მეექვსედის მოთხოვნით, ასეთი მოთხოვნის წარდგენიდან არა უგვიანეს ორი თვისა;

გ) სარევიზიო კომისიის ინიციატივით. *(18.11.2018)*

6.2. საერთო კრების დღის წესრიგში წესდების ცვლილებების საკითხის შეტანას წყვეტს გამგეობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ცვლილებებისა და დამატებების პროექტი წარდგენილ იქნა ასოციაციის წევრთა ერთი მეათედის მოთხოვნით. *(18.11.2018)*

6.3. საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა 1/4. თუ კრება არ იქნება უფლებამოსილი, განმეორებით მოიწვევა ორი თვის ვადაში. საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა უმრავლესობით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა. ხმის გადაცემა დაუშვებელია. *(05.12.2020)*

მუხლი 6[1]. საერთო კრების უფლებამოსილებები

6[1].1. საერთო კრება:

ა) დამსწრეთა ორი მესამედის უმრავლესობით იღებს ასოციაციის წესდებას და ცვლილებები შეაქვს მასში, გარდა დანართი #1-სა (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამგეობის წევრთა სია);

ბ) ფარული კენჭისყრით დამსწრეთა ფარდობითი უმრავლესობით ირჩევს გამგეობის წევრებს. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში იმართება წილისყრა;

გ) ისმენს ასოციაციის საქმიანობისა და ფინანსურ ანგარიშს;

დ) დამსწრეთა უმრავლესობით ამტკიცებს გამგეობის მიერ წარმოდგენილ ასოციაციის საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებს;

ე) დამსწრეთა ფარდობითი უმრავლესობით 3 წლის ვადით ირჩევს ასოციაციის სარევიზიო კომისიას; *(18.11.2018)*

ვ) წევრთა ორი მესამედით იღებს გადაწყვეტილებას ასოციაციის რეორგანიზაციის (გარდაქმნა (სამართლებრივი ფორმის ცვლილება), შერწყმა (გაერთიანება, მიერთება), გაყოფა (დაყოფა, გამოყოფა)) შესახებ; *(18.11.2018)*

ზ) წევრთა ოთხი მეხუთედით იღებს გადაწყვეტილებას ასოციაციის ლიკვიდაციის შესახებ;

თ) *(ამოღებულ იქნა - 18.11.2018)*

მუხლი 7. ***ამოღებულ იქნა (29.10.2011)***

ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

მუხლი 8. გამგეობა

8.1. ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანოა 21 წევრისაგან შემდგარი გამგეობა. გამგეობის წევრებს ასოციაციის წევრთაგან სამი წლის ვადით ირჩევს საერთო კრება. გამგეობის შემადგენლობა ყოველწლიურად განახლდება ერთი მესამედით, რომელთაგან ასოციაციასთან შრომით ურთიერთობაში მყოფი პირების რაოდენობა ორს არ უნდა აღემატებოდეს. ამასთან, ასოციაციასთან შრომით ურთიერთობაში მყოფი პირების საერთო რაოდენობა გამგეობის შემადგენლობაში 6-ს არ უნდა აღემატებოდეს. ამ მუხლის მიზნებისთვის თავმჯდომარე არ ითვლება ასოციაციასთან შრომით ურთიერთობაში მყოფ პირად. გამგეობის წევრად შეიძლება აირჩეს ის პირიც, რომელიც არ იმყოფება საერთო კრებაზე, თუ არსებობს მისი წინასწარი წერილობითი თანხმობა გამგეობის წევრად არჩევის თაობაზე. *(18.11.2018)*

8.2 გამგეობის მორიგი სხდომა იმართება ყოველი კენტი თვის ბოლო ორ კვირაში. რიგგარეშე სხდომა მოიწვევა ასოციაციის თავმჯდომარის მიერ საკუთარი ინიციატივით ან გამგეობის წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით. გამგეობა უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. გამგეობის წევრებს და ასოციაციის ტერიტორიული და სხვა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს გამგეობის ჩატარების თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ ეცნობებათ სხდომამდე სულ მცირე 7 დღით ადრე მაინც, ხოლო რიგგარეშე სხდომის მოწვევის შემთხვევაში - მოწვევისთანავე. *(18.11.2018)*

8.2.[1] საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში (ქვეყნის ფარგლებს გარეთ ყოფნა, მივლინება, ჯანმრთელობის მდგომარეობა), გამგეობის სხდომაში მონაწილეობა შესაძლებელია დისტანციურად, ტელეფონით, ვიდეო საშუალების ან სხვა ტექნიკური საშუალებით, თუ შესაძლებელია გამგეობის წევრის იდენტიფიცირება. ამ გზით გამგეობის წევრი ვერ მიიღებს სხდომაში მონაწილეობას, თუ სხდომაზე განიხილება ფარული კენჭისყრით მისაღები საკითხი. *(18.11.2018)*

8.3. გამგეობა:

ა) გამგეობის წევრთაგან ფარული კენჭისყრით ირჩევს ასოციაციის თავმჯდომარეს; თავმჯდომარის წარდგინებით გამგეობის წევრთაგან ფარული კენჭისყრით ირჩევს მის მოადგილეს;

ბ) იწვევს საერთო კრებას, კრების თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ სულ მცირე ორი კვირით ადრე მაინც აცნობებს ასოციაციის წევრებს; *(18.11.2018)*

გ) ასოციაციის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების პროექტს საერთო კრებისათვის წარსადგენად აქვეყნებს კრებამდე ერთი თვით ადრე;

დ) იძლევა თანხმობას ადმინისტრაციული დირექტორის და პროგრამული დირექტორების დანიშვნაზე; *(18.11.2018)*

ე) ფარული კენჭისყრით წყვეტს ასოციაციის წევრად მიღების საკითხებს;

ვ) სარეკომენდაციო წერილით მიმართავს ასოციაციის იმ წევრს, რომლის საქმიანობაც ეწინააღმდეგება ასოციაციის მიზნებს ან რომელიც უხეშად არღვევს წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს;

ზ) ადგენს წევრობის მსურველებთან და წევრებთან ურთიერთობის წესს;

თ) შეიმუშავებს და საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს ასოციაციის საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებს;

ი) ამტკიცებს ასოციაციის მიერ გაწეული საქმიანობისა და ფინანსურ ანგარიშს საერთო კრებისათვის წარსადგენად;

კ) ამტკიცებს ასოციაციის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და საბიუჯეტო პარამეტრებს;

ლ) წყვეტს ასოციაციის, რეგისტრირებულ ორგანიზაციებში წევრობისა და იურიდიული პირის დაფუძნებაში მონაწილეობის საკითხს; *(18.11.2018)*

მ) *(ამოღებულ იქნა -18.11.2018)*

ნ) წელიწადში ერთხელ ამტკიცებს ადმინისტრაციული დირექტორის და პროგრამული დირექტორების ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ; *(18.11.2018)*

ო) საჭიროების შემთხვევაში, გამგეობის სხდომაზე იწვევს და ისმენს ასოციაციის ნებისმიერი თანამშრომლის, პროგრამების/პროექტების ხელმძღვანელების, ასოციაციის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ხელმძღვანელებისა და თანამშრომლების, ასოციაციის ფილიალებისა და წარმომადგენლობების ხელმძღვანელებისა და თანამშრომლების ანგარიშებს;

პ) ადგენს ასოციაციის თანამშრომელთა სახელფასო ბადეს;

ჟ) თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს ასოციაციის პროგრამულ მიმართულებებს, ორგანიზაციულ სტრუქტურას და განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებებს; *(18.11.2018)*

რ) ირჩევს ასოციაციის ბეჭდვითი ორგანოს სარედაქციო საბჭოს;

ს) თავმჯდომარის წარდგინებით იღებს გადაწყვეტილებებს ასოციაციის რეგიონული ერთეულების შექმნისა და გაუქმების შესახებ, ამტკიცებს მათ დებულებებს და ხელმძღვანელებს;

ტ) ფარული კენჭისყრით წევრთა უმრავლესობით თანამდებობიდან გადააყენებს ასოციაციის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს; *(18.11.2018)*

უ) აფუძნებს იურიდიულ პირს და ასოციაციის თავმჯდომარის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს მათ ხელმძღვანელებს; *(18.11.2018)*

უ[1]) ადგენს საწევრო შესატანის ოდენობასა და მისი გადახდის წესს; *(18.11.2018)*

უ[2]) იღებს გადაწყვეტილებას წევრთა გარიცხვის შესახებ; *(18.11.2018)*

ფ) წყვეტს სხვა საკითხებს, რომლებიც ამ წესდებით არ განეკუთვნება საერთო კრებისა და სხვა ხელმძღვანელი ორგანოების კომპეტენციას. *(18.11.2018)*

8.4. გამგეობის წევრის უფლებამოსილება ვადაზე ადრე შეწყდება:

ა) ასოციაციის წევრობის შეწყვეტისას; *(18.11.2018)*

ბ) გამგეობის ზედიზედ 2 სხდომის არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში; *(18.11.2018)*

გ) პირადი განცხადების საფუძველზე;
დ) ასოციაციასთან შრომითი ურთიერთობის დამყარებისთანავე, თუ ასოციაციასთან შრომით ურთიერთობაში მყოფი გამგეობის წევრთა რაოდენობა იმ მომენტამდე უკვე 6-ს შეადგენდა. *(18.11.2018)*
8.5. გამგეობის წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში გამგეობის წევრი ხდება ის პირი, რომელმაც დააგროვა ხმათა მეტი, მაგრამ გამგეობის წევრად არჩევისათვის არასაკმარისი რაოდენობა უკანასკნელ საერთო კრებაზე. თანაბარი ხმების მქონე პირთაგან გამგეობის წევრი შეირჩევა გამგეობის მიერ ჩატარებული წილისყრით. ახლად არჩეული გამგეობის წევრი უფლებამოსილებას ახორციელებს გამოკლებული გამგეობის წევრის უფლებამოსილების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში.

მუხლი 9. თავმჯდომარე
9.1. ასოციაციის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილებას ახორციელებს ასოციაციის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – მისი მოადგილე;
9.2. ასოციაციის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს თავის წევრთაგან ერთი წლის ვადით ირჩევს გამგეობა მორიგი საერთო კრების შემდეგ პირველსავე სხდომაზე. პირი ასოციაციის თავმჯდომარედ არ შეიძლება აირჩეს ზედიზედ სამზე მეტი ვადით. თავმჯდომარის კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს გამგეობის ყოველ წევრს/წევრთა ჯგუფს გამგეობის სხდომის ჩატარებამდე არანაკლებ ხუთი დღისა. კანდიდატმა გამგეობის სხდომის ჩატარებამდე არანაკლებ სამი დღისა წერილობით უნდა წარუდგინოს გამგეობას პროგრამა ასოციაციის განვითარებასთან დაკავშირებით. ახლად არჩეული თავმჯდომარე ასახელებს თავისი მოადგილის კანდიდატურას. ასოციაციის თავმჯდომარისა და მოადგილის უფლებამოსილება იწყება არჩევის მომენტიდან და გრძელდება შესაბამისად ახალი თავმჯდომარისა და მოადგილის არჩევამდე. საერთო კრების შემდეგ თუ თავმჯდომარე და მოადგილე, ახალი თავმჯდომარის და მოადგილის არჩევამდე ვერ ასრულებენ თავიანთ უფლებამოსილებას, ასეთ შემთხვევაში მათ ფუნქციებს ასრულებს გამგეობის უხუცესი წევრი. უხუცესი წევრის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, თავმჯდომარის უფლებამოსილებების შესრულება ევალება გამგეობის ასაკით ყოველ მომდევნო უხუცეს წევრს. *(05.12.2020)*
9.2[1]. ასოციაციის თავმჯდომარეს უფლება არა აქვს იმავდროულად იყოს საჯარო ან სხვა ანაზღაურებად სამსახურში ან/და ეწეოდეს ისეთ საქმიანობას, რომელიც ხელს უშლის მის მიერ უფლებამოსილებათა განხორციელებას, მათ შორის ინტერესთა შეუთავსებლობის გამო. *(18.11.2018)*
9.3. თავმჯდომარე:
ა) წარმართავს ასოციაციის საქმიანობას საწესდებო მიზნების მისაღწევად;
ბ) ხელმძღვანელობს გამგეობის საქმიანობას და უძღვება მის სხდომებს;
ბ[1]) უძღვება საერთო კრების სხდომებს; *(18.11.2018)*

ბ[2]) წარმართავს დირექტორთა საბჭოს საქმიანობას და ხელმძღვანელობს მის სხდომებს; *(18.11.2018)*

გ) წარმოადგენს ასოციაციას სხვა პირებთან ურთიერთობაში;

დ) წყვეტს ასოციაციის კონკრეტული მიზნით შექმნილ კოალიციებში გაერთიანების საკითხს და ამის შესახებ აცნობებს გამგეობას; *(18.11.2018)*

ე) ზედამხედველობს ასოციაციის ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალურ ქონების მართვას;

ვ) უძღვება ასოციაციის წევრებთან და წევრობის მსურველებთან მუშაობას გამგეობის მიერ დადგენილი წესით;

ზ) ხელს აწერს ასოციაციის ოფიციალურ დოკუმენტებს;

თ) გამგეობას დასამტკიცებლად წარუდგენს ასოციაციის ორგანიზაციულ სტრუქტურას;

ი) ადმინისტრაციული დირექტორის დანიშვნამდე ასრულებს მის ფუნქციებს; *(18.11.2018)*

ი[1]) ნიშნავს და ათავისუფლებს ასოციაციის თანამშრომლებს; *(18.11.2018)*

კ) ასრულებს ამ წესდებით მასზე დაკისრებულ სხვა ფუნქციებს.

9.4. ასოციაციის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში ახალი თავმჯდომარის არჩევამდე თავმჯდომარის ფუნქციებს ასრულებს მისი მოადგილე.

9.5. თავმჯდომარის/მოადგილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა მის მიერ წესდებით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობის, უფლებამოსილების გადამეტების ან ასოციაციის საწესდებო მიზნებთან შეუსაბამო საქციელისათვის შეუძლია მხოლოდ გამგეობას. ასეთ შემთხვევაში გამგეობა ერთი თვის ვადაში ირჩევს ახალ თავმჯდომარეს/მოადგილეს დარჩენილი ვადით. *(18.11.2018)*

9.6. ასოციაციის თავმჯდომარის ხელფასის ოდენობას განსაზღვრავს გამგეობა.

9.7. ასოციაციის თავმჯდომარე და მოადგილე ასოციაციის საქმეებს უნდა უძღვებოდნენ კეთილსინდისიერად. ისინი ასოციაციისათვის მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებენ მის წინაშე. *(18.11.2018)*

მუხლი 9[1]. დირექტორთა საბჭო *(18.11.2018)*

9[1].1. დირექტორთა საბჭო წარმოადგენს თავმჯდომარესთან არსებულ საკოორდინაციო სტრუქტურულ ორგანოს. თავმჯდომარე წარმართავს საბჭოს საქმიანობას და ხელმძღვანელობს მის შეხვედრებს.

9[1].2. დირექტორთა საბჭოს წევრები არიან, თავმჯდომარე, ადმინისტრაციული დირექტორი და პროგრამების დირექტორები.

9[1].3. დირექტორთა საბჭოს საქმიანობის წესს ამტკიცებს გამგეობა.

9[1]4. ადმინისტრაციულ დირექტორს და პროგრამების დირექტორებს გამგეობის თანხმობით, 3 წლის ვადით ნიშნავს თავმჯდომარე. ერთიდაიმავე პირის პროგრამის დირექტორად განმეორებით დანიშვნა შეზღუდული არ არის.

მუხლი 10. ადმინისტრაციული დირექტორი ***(18.11.2018)***

10.1 ასოციაციის ადმინისტრაციულ ხელმძღვანელობას და სპეციალურ წარმომადგენლობას ახორციელებს ადმინისტრაციული დირექტორი. ადმინისტრაციული დირექტორის ადმინისტრაციული ხელმძღვანელობის ფარგლები განისაზღვრება გამგეობის მიერ დამტკიცებული დებულებით, ხოლო სპეციალური წარმომადგენლობის ფარგლები - წესდებით.

10.2.ადმინისტრაციული დირექტორი გამგეობის მიერ დადგენილი წესით განკარგავს ასოციაციის ფულად სახსრებსა და მატერიალურ რესურსებს და პასუხისმგებელია მათ სწორ გამოყენებაზე, ხელს აწერს შესაბამის ოფიციალურ და საფინანსო დოკუმენტაციას.

10.3 ადმინისტრაციულ დირექტორს უფლება არა აქვს იმავდროულად იყოს ასოციაციის გამგეობის ან სხვა ისეთი ორგანოების წევრი, რომლის წინაშეც ანგარიშვალდებულია ინტერესთა შეუთავსებლობის გამო.

მუხლი 10[1]. ამოღებულ იქნა. ***(18.11.2018)***

მუხლი 11. სარევიზიო კომისია

11.1. ასოციაციის გამგეობის, თავმჯდომარისა და დირექტორების მიერ ასოციაციის წესდების შესრულებისა და ფინანსური სახსრების თუ სხვა ქონების საწესდებო მიზნების შესაბამისად გამოყენებას აკონტროლებს ასოციაციის სარევიზიო კომისია, რომელსაც სამი წლის ვადით ხუთი წევრის შემადგენლობით ირჩევს საერთო კრება. სარევიზიო კომისია, არჩევიდან ერთი თვის განმავლობაში, საკუთარ წევრთაგან ირჩევს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს. სარევიზიო კომისია მუშაობს მის მიერ შემუშავებული რეგლამენტით. *(05.12.2020)*

11.2. სარევიზიო კომისიაში შემავალი პირი იმავდროულად არ შეიძლება იყოს ასოციაციის გამგეობის წევრი ან თანამშრომელი. *(05.12.2020)*

11.3. სარევიზიო კომისია 6 თვეში ერთხელ მაინც აწყობს საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტების რევიზიას და მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციას. რევიზიის შედეგები მოხსენდება გამგეობასა და მორიგ საერთო კრებას. სარევიზიო კომისია გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით.

11.4. მნიშვნელოვანი დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში სარევიზიო კომისია იწვევს გამგეობის რიგგარეშე სხდომას ან რიგგარეშე საერთო კრებას და გაუძღვება მას. *(05.12.2020)*

11.5. სარევიზიო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში კომისიის წევრი ხდება ის პირი, რომელმაც დააგროვა ხმათა მეტი, მაგრამ სარევიზიო კომისიის წევრად არჩევისათვის არასაკმარისი რაოდენობა უკანასკნელ საერთო კრებაზე. თანაბარი ხმების მქონე პირთაგან სარევიზიო კომისიის წევრი შეირჩევა კომისიის მიერ ჩატარებული წილისყრით. ახლად არჩეული სარევიზიო კომისიის წევრი უფლებამოსილებას ახორციელებს გამოკლებული კომისიის წევრის უფლებამოსილების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში.

მუხლი 12. მრჩეველთა საბჭო

12.1. ასოციაციის საკონსულტაციო ორგანოა არაუმეტეს 5 პირისაგან შემდგარი მრჩეველთა საბჭო, რომელსაც 3 წლის ვადით ფარული კენჭისყრით, დამსწრეთა უმრავლესობით ირჩევს გამგეობა. პირის განმეორებით არჩევა შეზღუდული არ არის. *(18.11.2018)*

12.2. *(ამოღებულ იქნა - 18.11.2018)*

12.3. საბჭოს წევრის დასახელების უფლება აქვს გამგეობის წევრს, აგრეთვე ასოციაციის ნებისმიერ წევრს, გამგეობისათვის წერილობითი მიმართვის ფორმით. მრჩეველთა საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს ასოციაციის წევრი ან/და მასთან შრომით ურთიერთობაში მყოფი პირი. პირის საბჭოს წევრად არჩევამდე აუცილებელია მისი წერილობითი თანხმობა. *(18.11.2018)*

12.4. *(ამოღებულ იქნა - 18.11.2018)*

12.5. საბჭოს მიზანია ასოციაციის განვითარების თუ პროგრამულ საქმიანობებთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე რეკომენდაციების, მოსაზრებების გაზიარება და საკითხების გადაწყვეტის სხვადასხვა ალტერნატივის განხილვა. *(18.11.2018)*

12.6. მრჩეველთა საბჭოს შეკრება ხდება გამგეობის და/ან თავმჯდომარის მოწვევით სულ მცირე წელიწადში ორჯერ. საბჭოს საქმიანობის წესი განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს გამგეობა. *(18.11.2018)*

მუხლი 13. ასოციაციის ქონება

13.1. ასოციაციის ქონება იქმნება საწევრო შენატანების, წევრთა და სხვა პირთა შემოწირულობების, გრანტების, დამხმარე სამეწარმეო საქმიანობითა და სხვა კანონიერი გზით მიღებული შემოსავლებისაგან.

13.2. ასოციაციის ქონება შეიძლება მოხმარდეს მხოლოდ მისი საწესდებო მიზნების განხორციელებას.

მუხლი 14. ასოციაციის საქმიანობის შეჩერება და ლიკვიდაცია *(05.12.2020)*

14.1. ასოციაციის საქმიანობის შეჩერება ხდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) ასოციაციის საერთო კრების გადაწყვეტილებით;

ბ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში. *(05.12.2020)*

14.2. ასოციაციის ლიკვიდაციას ახორციელებს თავმჯდომარე, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. *(18.11.2018)*

14.3. ლიკვიდაციის დამთავრების შემდეგ დარჩენილი ქონება გადაეცემა იმავე ან მსგავსი მიზნების სხვა არასამეწარმეო იურიდიულ პირს კანონმდებლობით დადგენილი წესით.